TASKI Tapi Shampoo

ხალიჩების და ავეჯის ღრმა წმენდისათვის განკუთვნილი სარეცხი საშუალება

აღწერა: TASKI Tapi Shampoo -არის კონცენტრირებული ხალიჩის შამპუნი ყველა ტიპის ხალიჩისა და რბილი ავეჯის შუალედური წმენდისთვის. შეიცავს ახალ "ONT" ჰაერის ნეიტრალიზაციის ტექნოლოგიას უსიამოვნო სუნის ეფექტური ნეიტრალიზაციისა და ხანგრძლივი სურნელის შესანარჩუნებლად.

მთავარი თვისებები:

• ეფექტური, მაღალაქფიანი ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების სპეციალური კომბინაცია

• ნარჩენები ადვილად შორდება წყალსასრუტით

• pH ნეიტრალური, მოწონებულია Woolsafe Institute-ის მიერ

• შესაფერისია ნებისმიერი ხალიჩის შამპუნირების მეთოდით

• შეიცავს "ONT" ჰაერის ნეიტრალიზაციის ტექნოლოგიას

• ეფექტურად ანეიტრალებს სახლის მტვრის, ტკიპების ალერგენებს

სარგებელი:

• შესანიშნავი წმენდის მახასიათებლები

• უსაფრთხოა ნებისმიერი ტიპის ხალიჩაზე, მათ შორის შალის

• ანეიტრალებს უსიამოვნო სუნის მოლეკულებს და შესაბამისად აძლიერებს სუნამოს ეფექტს

• ტესტირებულია დამოუკიდებელი ლაბორატორიების მიერ ალერგენების შესამცირებლად

• ამცირებს ხალიჩის ხელახლა დაბინძურებას

დოზირება:

დოზირება ექსტრაქტორის მეშვეობით: 300მლ/10ლიტრ წყალზე. (30%)

გამოყენების ინსტრუქცია:

მოაშორეთ მტვერი ხალიჩას მტვერსასრუტით და წინასწარ გაწმინდეთ ლაქები. მშრალი ქაფის მეთოდი: TASKI Swift 35-ის ან ერთდისკიანი ქაფის გენერატორისა და მშრალი ქაფის შამპუნის ფუნჯის გამოყენებით, დაამატეთ პროდუქტი წყლით სავსე სპრეის მოწყობილობაში და დაიტანეთ ხსნარი ხალიჩაზე,. დაარეგულირეთ ქაფის გენერატორი საჭირო სიმშრალეში ქაფის წარმოქმნის მიზნით. რეკომენდირებულია ხალიჩის აწევა ჯაგრისის საშუალებით სანამ ნესტიანია. დაამუშავეთ ხალიჩა გაშრობის შემდეგ, შემდეგ კარგად გაწმინდეთ წყალსასრუტით, რათა მოაშოროთ შამპუნის კრისტალიზებული ნარჩენები. ხელის ჯაგრისით დაამუშავეთ ავეჯი, გააშრეთ და კარგად გაწმინდეთ წყალსასრუტით. ერთჯერადად დაამუშავეთ მაქსიმუმ 40–50 m^2 ფართობი. დაელოდეთ დაახლოებით 10 წუთი (არ დაუშვათ შესხურებული ადგილის გაშრობა). შემდეგ სპრეი-ექსტრაქციის მანქანით გამორეცხეთ ხალიჩა სუფთა წყლით. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ ქაფის საწინააღმდეგო საშუალება.

ლაქების/(წერტილოვანი) რეცხვის მეთოდი:

მოაშორეთ მტვერი ხალიჩას მტვერსასრუტით. წინასწარ დაასველეთ ლაქის ირგვლივ მდებარე არეალი სუფთა წყლით. დაიტანეთ პროდუქტი წყალში ხსნად ლაქაზე და აცადეთ ცოტა ხნით მოქმედება. შემდეგ ჩამორეცხეთ სუფთა წყლით და დაუყოვნებლივ გამოიყენეთ წყალსასრუტი.

მნიშვნელოვანია:

გამოყენებამდე შეამოწმეთ ფერის მდგრადობა და მასალის თავსებადობა შეუმჩნეველ ადგილზე. ნუ დააბრუნებთ ავეჯს მანამ, სანამ ხალიჩა სრულად არ გაშრება. ავეჯის ფეხები დაიცავით პლასტმასის ან ალუმინის ფოლგით, რათა თავიდან აიცილოთ ჟანგი ან ლაკის/დაფარვის დაზიანება.

ლაქების რეცხვის მეთოდი მხოლოდ იმ ხალიჩებზე გამოიყენეთ, რომლებიც დამაგრებულია წყლის მიმართ გამძლე წებოთი წყლის მიმართ გამძლე იატაკზე.

ტექნიკური მონაცემები:

გარეგნული ფორმა:	ყვითელი სითხე
pH (ხსნარი):	5,8-6,3

შედარებითი სიმკვრივე (20°C): 1.0

ზემოთნახსენები მონაცემები წარმოადგენენ ტიპიურ სიდიდეებს და სპეციფიკაციებად არ უნდა განიხილებოდნენ.

უსაფრთხო გამოყენება და შენახვა:

პროდუქტის უსაფრთხო გამოყენებისა და გადამუშავების სრული ინსტრუქცია მოცემულია ცალკე მონაცემთა უსაფრთხოების ფურცელ-ში.

შეინახეთ ორიგინალურ კონტეინერში. მოარიდეთ მაღალ ტემპერატურას.

გამოყენების ვადა მითითებულია შეფუთვაზე.

შპს კლინტექ; ს/კ 204442451

მისამართი: ქ.თბილისი, ფონიჭალა, რუსთავის გზატკეცილი #68ა

ტელ: +995 (595) 608 778

www.zoma.ge; info@zoma.ge

Cleantech